ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის სკოლა-გიმნაზიის ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმები

დამტკიცებულია
ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის
სახელობის სკოლა-გიმნაზიის დირექტორის
ბრძანება № 42 01.08.2024 წ

2024 წ

სარჩევი

თავი I. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმები .....

მუხლი 1. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნები .....

მუხლი 2. რეგულაციები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფის დაგეგმვის პროცესშია.....

მუხლი 3. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული .....

მუხლი 4. უფლებამოსილი პირისათვის წასაყენებელი მოთხოვნები .....

მუხლი 5. ინფორმირებულობის უზრუნველყოფა .....

მუხლი 6. საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები.....

მუხლი 7. სკოლა-გიმნაზიაში ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები...

მუხლი 8. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები

მუხლი 9. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები .....

მუხლი 10. ინფორმაციული უზრუნველყოფის დაცვის მექანიზმები

თავი I. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმები

მუხლი 1. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნები

1.1. ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის სკოლა-გიმნაზიში (შემდგომ ,,სკოლა-გიმნაზია“) ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზანია:

ა) ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება;

ბ) სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;

გ) სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირება;

დ) ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა;

მუხლი 2. რეგულაციები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფის დაგეგმვის პროცესში

2.1.„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;

2.2.„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანება;

2.3.„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;

2.4.„სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილება;

2.5.„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი;

2.6.„სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილება;

2.7.„საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ბრძანება;

2.8.„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილება;

2.9.„წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის №01-40/ო ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაცია;

2.10. „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N58 დადგენილება;

მუხლი 3. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული

3.1.სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია უსაფრთხოების დაცვის სამსახური და სკოლა-გიმნაზიის დირექცია;

3.2.სკოლა-გიმნაზიის შენობის დაცვას უზრუნველყოფს უსაფრთხოების დაცვის სამსახური;

3.3.უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია სკოლა-გიმნაზიის დირექცია და უფლებამოსილი პირი.

მუხლი 4. უფლებამოსილი პირისათვის წასაყენებელი მოთხოვნები

4.1.უფლებამოსილი პირად შეიძლება დაინიშნოს ნასამართლობის არმქონე საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 21 წელი, იცის სახელმწიფო ენა, სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად აქვს შესაბამისი ჯანმრთელობის მდგომარეობა.

მუხლი 5. ინფორმირებულობის უზრუნველყოფა

4.1.ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა-გიმნაზია ვალდებულია სკოლა-გიმნაზიის შენობაში თვალსაჩინო ადგილას განათავსოს:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი -112 (შემდგომ – 112);

ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნომერი - 2 200 220;

გ) უფლებამოსილი პირის მობილური ტელეფონის სამსახურებრივი ნომერი - 599 43 92 96;

დ) სკოლა-გიმნაზიის ფსიქოლოგის სამსახურებრივი ნომერი 555 303 262;

ე) საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი – 598 08 30 06, 1481.

4.2.სკოლა-გიმნაზია ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 10 დღისა მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების საშუალებით მიაწოდოს ინფორმაცია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების/უწყებების ნომრების, ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ.

მუხლი 6. საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები

6.1.სკოლა-გიმნაზია ვალდებულია სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ორჯერ აწარმოოს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანია:

ა) ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ;

ბ) დისკრიმინაციის წინააღმდეგ;